C ჰეპატიტის სკრინინგის სერვისის მიწოდების თავისებურებები საუნივერსიტეტო პოპულაციაში

სალომე ახალაია[1], თამარ ლობჯანიძე[2], გიორგი კამკამიძე[3]

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა
[1]სტუდენტი ბაკალავრი, ჯანდაცვს ადმინისტრირება; [2]ხელმღვანელი, სკოლის დირექტორი;
[3]ხელმღვანელი, პროფესორი

C- ჰეპატიტი სისხლით გადამდები ინფექციაა. ათიდან ორი ადამიანი თვითგანკურნებადია, მაგრამ დანარჩენ რვა შემთხვევაში დაავადება გადადის ქრონიკულ ფორმაში. თუ არ მოხდა C ჰეპატიტის დროულად დიაგნოსტირება და მკურნალობაც დაგვიანდა, ასეთ შემთხვევაში 20%-ში მოსალოდნელია ციროზის განვითარება. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოში დაახლოებით 200.000 ადამიანი C ჰეპატიტით.სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული მონაცემები, რეგისტრირებული B და C ჰეპატიტის მზარდი შემთხვევების შესახებ კიდევ ერთხელ მეტყველებს ტესტირების ჩატარების აუცილებლობაზე (WHO/ჯანმო, 2015). დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით (NCDC საქართველო-2014) მაქსიმალური ინციდენტობის მაჩვენებელი გამოვლინდა 30-59 წლის ასაკის მოსახლეობაში. ბოლო მონაცემები, რომლებიც მოწოდებულია საქართველოს შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის კვლევის ცენტრის მიერ, გვიჩვენებს, რომ C-ჰეპატიტის პრევალენტობამ მიაღწია 6.7 %-ს და შეადგენს დაახლოებით 200 000 ადამიანს საქართველოს ზრდასრულ მოსახლეობაში. ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალური აზიის რეგიონში. კვლევის მიზანია ნათელი გახადოს თუ რა მეთოდებითა და ხერხებით ხდება C-ჰეპატიტის სკრინინგის ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის, აგრეთვე რამდენად ჯეროვანია ეს ინფორმაცია. მიზანს წარმოადგენს შეისწავლოს ქართველი და უცხოელი სტუდენტების დამოკიდებულება C-ჰეპატიტის სკრინინგისადმი და დაადგინოს მათი ცნობადობის დონე ამ კონკრეტულ ინფექციურ დაავადებასთან მიმართებაში.

აბრევიატურა: *WHO/ჯანმო-ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია; Ncdc- დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; Pcr-ტესტი რომლითაც გენეტიკური კოდის გამრავლება ხდება*

საკვანძო სიტყვები: *C ჰეპატიტი, სტუდენტები, ცნობადობის დონე, თბილისი*